




USAID

აშერიკელი სარწმუნო

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)



ქალთა უფლებრივი მდგომარეობა
სამსხე-ჯანსახეთსა და ქვემო ქართლში

ანგარიში

კონსტიტუციის
42-ე მუხლი





USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდგერს
საქართველოში (PROLoG)

ანგარიში

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა
სამსახე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში



კონსტიტუციის 42-ე მუხლი

2017 წელი



USAID
ამერიკელი ხალხისგან



EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

აღნიშნული ანგარიში მომზადდა აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) მიერ დაფინანსებული პროექტის „ქალთა, განსაკუთრებით კი ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფს მიკუთვნებულ ქალთა გაძლიერება და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“.

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“. ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

ავტორი: ირაკლი გვარამაძე

სარჩევი

შესავალი.....	7
პროექტის შესახებ	10
ქალთა უფლებრივი მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში.....	12
ოჯახში ძალადობა	13
ადრეული ქორწინება.....	16
საკუთრება	18
ეთნიკური უმცირესობები	20
რეკომენდაციები.....	23

შესავალი

საქართველოში უამრავი ქალი ცხოვრობს ისეთ პირობებში, სადაც მათი ფუნდამენტური უფლებები ყოველდღიურად ირღვევა მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი არიან ქალები. ქალების ნაწილი ვერ ახერხებს საკუთარი უფლებების დაცვას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არ არის ინფორმირებული საკუთარი უფლებების თაობაზე, არ იცის რა უფლებები გააჩნია, ვის უნდა მიმართოს მათი დარღვევის შემთხვევაში და როგორ უნდა იბრძოდეს საკუთარი დარღვეული უფლებების აღსადგენად. ნაწილს კი, უბრალოდ არ აქვს ნდობა სახელმწიფო დანესებულებების მიმართ და შესაბამისად იძულებულია შეეგუოს მძიმე ყოფას. ქალების მიერ საკუთარი უფლებების რეალიზაცია საქართველოში კვლავ წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას, რასაც ადასტურებს არაერთი შიდა თუ გარე კვლევა.

საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში¹ საკმაოდ ვრცლად მიმოიხილავს ქალთა უფლებრივ მდგომარეობას საქართველოში და ხაზგასმით მიუთითებს იმ პრობლემებზე, რომლებიც ხელს უშლიან გენდერული თანასწორობის დამკვიდრებას და ქალების მიერ საკუთარი უფლებების სრულად რეალიზებას. მიუხედავად სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციისა, სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები არ არის საკმარისი. ოჯახში ძალადობა და ზოგადად ქალთა მიმართ ძალადობა კვლავ რჩება ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად თანამედროვე ქართულ რეალობაში, რაც განპირობებულია საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციებით და გენდერული სტერეოტიპებით, აღნიშნული კი ხელს უწყობს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მასშტაბების ზრდას. არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ადრეული ქორწინება და საზოგადოების გულგრილი დამოკიდებულება ამ სენსიტიური თემის მიმართ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელთან შედარებით 2016 წელს მდგომარეობა გაუმჯობესებულია. კვლავ მწვავედ დგას

¹ <http://ombudsman.ge/uploads/other/4/4332.pdf>

გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის საკითხები, როგორც სქესის ნიშნით, ასევე, ეთნიკურ ნიადაგზე. პრობლემურია ქალთა სამართლებრივი მდგომარეობა შრომით ბაზარზე და დაკავებული პოზიციების გენდერული სეგრეგაცია.

ზემოაღნიშნული საკითხები განსაკუთრებული სიმწვავეით ვლინდება სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში, სადაც ქართველებთან ერთად კომპაქტურად არიან დასახლებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სომხები და აზერბაიჯანელები. როგორც ორგანიზაციის გამოცდილებამ აჩვენა, რეგიონში ხშირია ოჯახში ძალადობის შემთხვევები, თუმცა საზოგადოება მაინც ერიდება ამ თემაზე ღიად საუბარს და დუმილს ამჯობინებს. არის შემთხვევები, როდესაც თავად მსხვერპლი ცდილობს დამალოს ძალადობის ფაქტი, ვინაიდან განქორწინების შემთხვევაში, მძიმე მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე იგი დამოუკიდებლად ვერ შეძლებს ოჯახის რჩენას და ამიტომ იძულებულია მოითმინოს და აიტანოს ძალადობა. მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ადრეული ქორწინების პრაქტიკა, თუმცა ამ მხრივ აღსანიშნავია კლების ტენდენცია. ადრეულ ასაკში დაოჯახებას მოსახლეობა ტრადიციის, კულტურის და მენტალიტეტის ნაწილად მიიჩნევს, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ამ მავნე პრაქტიკის აღმოფხვრას. გავრცელებული პრობლემაა გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია საკუთრებასთან მიმართებაში, რასაც ადასტურებს უძრავი ქონების კაცებზე მასიურად გაფორმების ფაქტები.

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის, ზემოაღნიშნულის გარდა, კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს ქართული ენის არცოდნა, რაც დამატებით ბარიერებს ქმნის საკუთარი უფლებების დაცვისა და რეალიზების საკითხში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ 2011 წლიდან მოყოლებული, აქტიურად მუშაობს ქალთა უფლებების მიმართულებით. დაგროვილმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ განსაკუთრებით მონყვლად კატეგორიას განეკუთვნებიან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები. ენობრივი ბარიერის,

ფინანსური გაჭირვების, განათლების დაბალი დონის და საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების გამო ქალებს აქვთ ნაკლები შესაძლებლობა დაიცვან საკუთარი უფლებები. ქალთა უფლებების დარღვევის და მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ყველაზე ფართოდ გავრცელებული შემთხვევები არის ოჯახში ძალადობა, ადრეული ქორწინება, უმაღლესი განათლების მიღებისა და დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა, ასევე, მემკვიდრეობის არათანაბარი განაწილება გენდერული დისკრიმინაციის გამო. ხშირია ქალთა უფლებების დარღვევა სამუშაო ადგილებზე, განსაკუთრებით ეს ვლინდება ქალის ორსულობის და დეკრეტული შვებულების დროს. კვლავ ტაბუ დადებულ თემად რჩება სამუშაო ადგილებზე სექსუალური შევიწროვება. სწორედ ამიტომ, იურიდიულ დახმარებასთან ერთად, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ცნობიერების ამაღლების კამპანიები, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში, რაც საშუალებას აძლევს ქალებს მოახდინონ მათი უფლებრივი მდგომარეობის სამართლებრივი შეფასება და იქონიონ ადეკვატური პასუხი.

პროექტის შესახებ

არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ 2016 წლის თებერვლიდან 2017 წლის მარტის ჩათვლით - 14 თვის განმავლობაში ახორციელებდა პროექტს „ქალთა, განსაკუთრებით კი ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფს მიკუთვნებულ ქალთა გაძლიერება და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა“, რომლის მიზანს წარმოადგენდა ქალთა სამართლებრივი გაძლიერება და მათი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლება. პროექტი დაფინანსებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში.

პროექტი განხორციელდა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის 5 მუნიციპალიტეტში: ნალკა, თეთრიწყარო, ნინოწმინდა, ახალქალაქი და ახალციხე.

პროექტის ბენეფიციარებს წარმოადგენდნენ ქალები, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები, რომლებიც განიცდიდნენ დისკრიმინაციას სხვადასხვა ნიშნით, საკუთრების უფლებების დარღვევას, ოჯახში ძალადობას და რომლებიც საჭიროებდნენ იურიდიულ დახმარებას აღნიშნულ სფეროებში.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ცნობიერების ამაღლების ტრენინგები და გასვლითი ვიზიტები კონსულტაციების ჩატარების მიზნით; განხორციელდა ბენეფიციარების წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოში; მომზადდა საინფორმაციო ხასიათის სტატიები; ჩაინერა რადიო და ტელე გადაცემები, დაიბეჭდა ბროშურები და საინფორმაციო ფლაერები, მომზადდა სოციალური ვიდეო რგოლი.

ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა ხასიათის შეხვედრები ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის 28 ლოკაციაზე: 16 ლოკაციაზე

ტრენინგი, ხოლო 20 ლოკაციაზე კონსულტაცია (8 ლოკაციაზე ჩატარდა ტრენინგიც და კონსულტაციაც). ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ შეხვედრებს დაესწრო 581 ადამიანი, რომელთაგან 387 იყო ქალი (67%), ხოლო 194 - კაცი (33%);

ტრენინგები ჩატარდა პროექტით გათვალისწინებული რეგიონების მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში. საერთო ჯამში ორგანიზაციამ ჩატარა 16 ტრენინგი, რომელთაგან 6 ტრენინგი ჩატარდა ქვემო ქართლის რეგიონში, ხოლო 10 სამცხე-ჯავახეთში. 16 ტრენინგს საერთო ჯამში დაესწრო 317 ადამიანი, რომელთაგან 237 იყო ქალი (75%), ხოლო - 80 კაცი (25%). ტრენინგების მთავარი მიზანი იყო მოსახლეობისთვის მათი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. თითოეული ტრენინგის თემატიკა შერჩეულ იქნა ადგილობრივი პრობლემების გათვალისწინებით და შეეხებოდა მოსახლეობისთვის აქტუალურ თემებს.

კონსულტაციების ჩატარების მიზნით ორგანიზაციამ განახორციელა 10 გასვლითი ვიზიტი 20 ლოკაციაზე. ქვემო ქართლში 4 ვიზიტის შედეგად იურიდიული კონსულტაციები ჩატარდა 8 ლოკაციაზე, სამცხე-ჯავახეთში 6 ვიზიტის შედეგად იურიდიული კონსულტაციები ჩატარდა 12 ლოკაციაზე. კონსულტაციების მიზნით გამართულ 10 შეხვედრას საერთო ჯამში დაესწრო 264 ბენეფიციარი, რომელთაგან იურიდიული დახმარება მიიღო 121-მა, აქედან 85 იყო ქალი (70%), ხოლო 36 - კაცი (30%).

პროექტის ფარგლებში „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ წარმომადგენლობა განახორციელა 22 საქმეზე (17 ბენეფიციარის მიმართ), რომელთაგან 18 წარმართა სასამართლოში, 1 ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო 3 საქმეზე პრობლემა მოგვარდა ორგანიზაციის იურისტების სხვადასხვა ტიპის დახმარების შედეგად.

ქალთა უფლებრივი მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში

ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ განხორციელებული ვიზიტების და შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა მრავალი სახის პრობლემა, რომელსაც ადგილობრივები აწყდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში და ვერ აგვარებენ დამოუკიდებლად. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მთავარ პრობლემად მძიმე სოციალურ ფონს ასახელებდა. რეგიონებში და განსაკუთრებით სოფლებში ძალზე მაღალია უმუშევრობის დონე, რის გამოც ადგილობრივები რთულ მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებიან. გარდა ყოფითი და სოციალური სირთულეებისა, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები მოსახლეობის განცხადებით მათ ხშირად აქვთ საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემები, როგორცაა მემკვიდრეობის მიღება, მიწის ნაკვეთების და სახლების რეგისტრაცია, ასევე, განქორწინება, ალიმენტის დანიშვნა, სოციალური დახმარების საკითხები. აღნიშნულ რეგიონებში საკმაოდ სიმწვავეთ დგას ოჯახში ძალადობის, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის და ადრეული ქორწინების პრობლემაც, თუმცა ამ თემებზე ხმამაღლა საუბარს საზოგადოება ერიდება.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის დამატებით სირთულეს წარმოადგენს ქართული ენის არ ცოდნა, რაც ქმნის ბარიერს ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოებთან ურთიერთობაში. ასევე, პრობლემურია იუსტიციის სახლის მიერ სომხურიდან ქართულ ენაზე სახელების არასწორად თარგმნის საკითხი, რის გამოც ადგილობრივებს უარს ეუბნებიან სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის გაფორმებაზე. ხშირია შემთხვევები, როდესაც საქართველოში ბინადრობის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს არ აძლევენ საქართველოს მოქალაქეობას.

საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას ქალთა უფლებების დაცვის, გენდერული თანასწორობის და დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით. გენდერული თანასწორობის პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეთ დგას ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული მიდგომების, სხვადასხვა ტრადიციებისა და ადათ-წესების გამო ხშირად საზოგადოება ამართლებს ქალთა მიმართ ძალადობას და პრობლემას თავად მსხვერპლში/ქალში ეძებს.

„კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ გამართულ ყველა შეხვედრაზე მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა ოჯახში ძალადობის საკითხს. ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აღნიშნავდა, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევები მათ რეგიონში საკმაოდ ხშირად ხდება, თუმცა კონკრეტულ ფაქტებზე საუბრისგან მოქალაქეები თავს იკავებდნენ. ადგილობრივი საზოგადოება ძალიან დახურულია ამ თემის მიმართ, რის გამოც ოჯახში ძალადობის ფაქტები არ ხმაურდება. საზოგადოების ნაწილს მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობა არის მხოლოდ „ოჯახის საქმე“, შესაბამისად, უმჯობესია თავად მეუღლეებმა მოაგვარონ მათ შორის არსებული დავა და სხვა პირების ჩარევა გაუმართლებელია. *ქვემო ქართლში ერთ-ერთი შეხვედრის დროს, მონაწილეებმა გაიხსენეს შემთხვევა, როდესაც ოჯახში ძალადობის ფაქტზე მეზობელმა გამოიძახა პატრული, რაზეც, შემდგომში, მსხვერპლმა (ქალმა) საყვედურით მიმართა ამ მეზობელს და სთხოვა არ ჩარეულიყო მათი ოჯახის საქმეში. არის შემთხვევები, როდესაც თავად მსხვერპლი არ ამუღავნებს ძალადობის ფაქტებს, ვინაიდან ოჯახის დანგრევის შემთხვევაში მას არც წასასვლელი აქვს სადმე და არც საკმარისი შემოსავალი, რომ დამოუკიდებლად არჩინოს ოჯახი, შესაბამისად, რჩება ერთი გზა - მოთმენა. სამცხე-ჯავახეთში ორგანიზაცია აწარმოებდა ოჯახში ძალადობის საქმეს. ქალი წლების განმავლობაში ითმენდა ძალადობას მისი ქმრის მხრიდან, ვინაიდან არ ჰქონდა სხვა გამოსავალი. კერძოდ, მისი მშობლები სოფელში ცხოვრობდნენ და შვილებთან ერთად ქალის*

სოფელში დაბრუნება შეარცხვენდა მშობლების ოჯახს, ხოლო მისი შემოსავალი არ ეყოფოდა ბავშვების რჩენას. შესაბამისად, იგი იძულებული იყო ეცხოვრა ქმართან, რომლიც სისტემატურად ძალადობდა მასზე. საბოლოოდ ქალმა მაინც გადაწყვიტა მიემართა სასამართლოსთვის, სადაც „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ იცავდა მის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეში. ასევე, ორგანიზაციის დახმარებით გამოიწვა დამკავი ორდერი ნ თვის ვადით. აღნიშნული შემთხვევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მძიმე სოციალური ფონი, ეკონომიკური დამოკიდებულება ქმარზე და საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები მნიშვნელოვან უარყოფით როლს თამაშობს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მხოლოდ უკიდურესად მძიმე და აუტანელ მდგომარეობაში აღმოჩენის შემდეგ იღებენ ქალები გადაწყვეტილებას დაიცვან საკუთარი უფლებები.

ოჯახში ძალადობის პრობლემას ამწვავებს ის ფაქტიც, რომ მოსახლეობის ნაწილს არ აქვს ზოგადი ინფორმაცია ოჯახში ძალადობის, მისი ფორმებისა და შედეგების შესახებ, ასევე, არ იცის კონკრეტულად რა უნდა მოიმოქმედოს ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ხოლო ის ნაწილი, რომელიც ინფორმირებულია უბრალოდ არ ენდობა სამართალდამცავ ორგანოებს, ვინაიდან ხშირად პოლიცია არ მოქმედებს მათი ვალდებულებების შესაბამისად. მოსახლეობის განმარტებით, იმ მცირე შემთხვევებშიც კი, როდესაც სამცხე-ჯავახეთში ხდებოდა პოლიციის გამოძახება, პოლიციის მხრიდან არ ხდებოდა ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ადეკვატური რეაგირება, პოლიცია იყო გულგრილი და ნაცვლად იმისა, რომ დაეცვა მსხვერპლი და გამოეცა შემაკავებელი ორდერი, ცდილობდა არ ჩარეულიყო კონფლიქტში და უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით თუ შემოიფარგლებოდა. აღნიშნულს ადასტურებს სტატისტიკური ინფორმაცია პოლიციის მიერ გამოცემული შემაკავებელი ორდერების თაობაზე, კერძოდ, 2016 წლის განმავლობაში სამცხე-ჯავახეთში პოლიციის მიერ სულ გამოცემულ იქნა 25 შემაკავებელი ორდერი, მაშინ, როდესაც იგივე პერიოდში ქვემო ქართლში გამოიწვა 271 შემაკავებელი ორდერი.²

² <http://ombudsman.ge/uploads/other/4/4332.pdf> გვ. 631

როგორც ადგილობრივები აღნიშნავენ პოლიციის გამოძახებას, არათუ დადებითი, არამედ შესაძლოა უარყოფითი შედეგი მოეტანა, ვინაიდან პოლიციის წასვლის შემდგომ არსებობდა ძალადობის განმეორების მაღალი რისკი. ყოველივე ეს უფრო მეტად აღრმავებს საზოგადოების უნდობლობას სამართალდამცავი ორგანოების მიმართ, რაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს უჩენს უიმედობის განცდას და ისინი იძულებული ხდებიან შეეგუონ ბედს. მსხვერპლის მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ მათ არ აქვთ დამოუკიდებელი შემოსავალი, ისინი ეკონომიკურად დამოკიდებულნი არიან მოძალადეზე, აქვთ საცხოვრებლის პრობლემა და ხშირ შემთხვევაში არ აქვთ სათანადო მორალური თუ ფინანსური მხარდაჭერა მათი ბიოლოგიური ოჯახის წევრების მხრიდანაც.

თითქმის ყველა შეხვედრაზე ადგილობრივებმა გამოთქვეს სურვილი, რომ სამართალდამცავებს ჰქონდეთ მეტი ინფორმაცია და პასუხისმგებლური დამოკიდებულება ასეთი სენსიტიური თემის მიმართ, რაც გაზრდის მათი მხრიდან ჯეროვანი რეაგირების შემთხვევებს და ადგილობრივებიც უფრო დაცულად იგრძნობენ თავს.

ასევე, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სასამართლოს დამოკიდებულება ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას. უმეტეს შემთხვევებში სასამართლოები არ იყენებენ საპატიმრო სასჯელებს მოძალადეების მიმართ, რასაც ადასტურებს ორგანიზაციის პრაქტიკაც. *ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ წარმოადგენდა ბენეფიციარს, რომელიც მისი ქმრის მხრიდან განიცდიდა სისტემატურ ძალადობას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პირი რამდენიმე წლის წინ ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ სასამართლოები იყო ოჯახში ძალადობის გამო (გამოყენებულ იქნა პირობითი მსჯავრი 2 წლით), ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ მაინც არ გამოიყენა პატიმრობა და მას განუსაზღვრა პირობითი მსჯავრი 1 წლის ვადით.*

„კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ თბილისში იცავდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლს, რომელმაც ქმრის მხრიდან ფიზიკური ძალადობის

შედევად მიიღო ჯანმრთელობის დაზიანება და დაუქვეითდა სმენა. ამ შემთხვევაშიც არ იქნა გამოყენებული საპატიმრო სასჯელი და თბილისის საქალაქო სასამართლომ პირს შეუფარდა პირობითი მსჯავრი 1 წლის ვადით და დააკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

თუმცა ორივე ზემოაღნიშნულ საქმეზე სასამართლომ გამოსცა დამცავი ორდერი 6 თვის ვადით.

ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ შეხვედრებზე გამოვლინდა, რომ ახალგაზრდებში გაცილებით მაღალია ინფორმირებულობის დონე ოჯახში ძალადობის თაობაზე, ისინი გაცილებით უფრო თამამად აფიქსირებენ საკუთარ პოზიციას და უფრო მონდომებულები არიან მიიღონ მეტი ინფორმაცია. სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის სოფლებში ჩატარებულ ტრენინგებზე სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობას ჰქონდა ზოგადი ინფორმაცია ოჯახში ძალადობის და მასზე რეაგირების გზების შესახებ. მათი უმეტესობა უყოყმანოდ აღნიშნავდა, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტის შეტყობის შემთხვევაში აუცილებელი იყო პოლიციაში დარეკვა ნომერზე 112.

ადრეული ქორწინება

სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ასევე პრობლემატურია ადრეული ქორწინების საკითხი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ შეიმჩნევა დადებითი ტენდენცია. შეხვედრებზე მოსული მოსახლეობა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ადრეული ქორწინების შემთხვევები ბოლო წლების განმავლობაში შემცირდა, მაგრამ მათი სრული აღმოფხვრა ჯერ არ მომხდარა. მათი განმარტებით, ასეთი ფაქტები ხდება ეთნიკურ ქართველებშიც, თუმცა შემთხვევათა უდიდესი წილი მოდის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებზე - სომხებზე და აზერბაიჯანელებზე, სადაც ადრეულ ასაკში დაოჯახებას მოსახლეობა ტრადიციის, კულტურის და მენტალიტეტის ნაწილად

მიიჩნევს. არცთუ ისე იშვიათად, თავად მშობლები უწყობენ ხელს ადრეულ ქორწინებას, ასევე, ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახის შექმნის გადაწყვეტილებას დასაქორწინებელი პირების ნაცვლად მათი მშობლები იღებენ, ხოლო არასრულწლოვანი ბავშვები ვერ ბედავენ მშობლების ნების წინააღმდეგ წასვლას და იძულებულნი არიან დამორჩილდნენ მათ. *ქვემო ქართლის ერთ-ერთ სოფელში შეხვედრის დროს ადგილობრივმა ქალმა გაიხსენა შემთხვევა, როდესაც 10-12 წლის ბიჭმა ეზოში თამაშის დროს თანატოლ გოგონას შემთხვევით დაუზიანა თვალი. ამის შემდეგ გოგოს მშობლები შეუთანხმდნენ ბიჭის მშობლებს, რომ ვინაიდან მათი შვილის გამო ჰქონდა ფიზიკური ნაკლი გოგოს, ამიტომ მასვე უნდა მოეყვანა ის ცოლად.*

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში ადრეული ქორწინების მავნე ტრადიციის გაგრძელებაში ძალიან მალალია მშობლების უარყოფითი როლი. ცალკე უნდა გამოიყოს საზოგადოების დამოკიდებულება მსგავს ფაქტებთან მიმართებაში: საზოგადოება ძალიან გულგრილია, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში არაადეკვატურად აგრესიულიც. *სამცხე-ჯავახეთში ერთ-ერთ შეხვედრაზე მონაწილეებმა გაიხსენეს ახალქალაქის სკოლაში რამდენიმე წლის წინ მომხდარი შემთხვევა, როდესაც გოგონა გათხოვდა მე-9 კლასში და სწორედ ამ ფაქტის გამო სკოლის დირექციამ მას აუკრძალა სკოლაში სიარული, რის გამოც გოგონა იძულებული გახდა შეენწყვიტა სწავლა.* ნაცვლად იმისა, რომ სკოლის დირექციისთვის განემართათ, რომ მათ არ ჰქონდათ უფლება გოგონა გაერიცხათ სკოლიდან და ამით მისთვის შეეზღუდათ განათლების მიღების უფლება, ამ ფაქტზე საზოგადოებას რეაქცია არ ჰქონია. სამწუხაროდ, ადგილობრივების ცნობიერება და დამოკიდებულება ამ საკითხთან მიმართებაში არ არის ჯეროვანი, ვინაიდან ისინი არ ფლობენ ინფორმაციას თუ რა შედეგები შეიძლება მოყვეს ადრეულ ქორწინებას. *სამცხე-ჯავახეთში გამართულ შეხვედრაზე ერთ-ერთმა მონაწილემ განაცხადა, რომ ადრეული ქორწინებისთვის ბარიერების დაწესებით სახელმწიფო ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რომლის*

თანახმადაც, სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ადამიანები ზედაპირულად უყურებენ პრობლემას და არ არიან ღრმად ჩახედული მის არსში. ამიტომ, მნიშვნელოვანია მოსახლეობას მიენოდოს ამომწურავი ინფორმაცია ადრეული ქორწინების უარყოფითი შედეგების შესახებ, რათა მათ რეალურად დაინახონ ჯანმრთელობასთან და მათ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული რისკები და საფრთხეები, რაც თან სდევს არასრულწლოვან ასაკში ოჯახის შექმნას. სწორედ ამიტომ, ქორწინებისთვის ასაკობრივი შეზღუდვის დანესებით, სახელმწიფო ცდილობს დაიცვას საკუთარი მოქალაქეები ადრეული ქორწინების თანმდევი დამაზიანებელი და ხშირ შემთხვევაში ფატალური შედეგებისგან. ასეთ შემთხვევებზე საზოგადოების მხრიდან გამოჩენილი გულგრილობა ხელს უწყობს და გარკვეულწილად ახალისებს ადრეული ქორწინებების მავნე პრაქტიკის გავრძელებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ადრეული ქორწინებისას საკმაოდ მაღალია ოჯახში ძალადობის შემთხვევების რაოდენობა.

საკუთრება

მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული ქალების მიერ საკუთრების უფლების რეალიზება, რაშიც უარყოფით როლს გენდერული სტერეოტიპები თამაშობს. როგორც სამცხე-ჯავახეთში, ისე ქვემო ქართლში საკმაოდ მძლავრად არის გამჭდარი სტიგმები. ხშირია შემთხვევები, როდესაც ქალები, კაცებთან შედარებით, აშკარად არათანაბარ პირობებში ხვდებიან, თუმცა ადგილობრივი საზოგადოება ამაში პრობლემას ნაკლებად ხედავს და აღნიშნულს ტრადიციებსა და ადათ-წესებს მიანერს. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ორივე რეგიონში უძრავი ქონების და მიწის ნაკვეთების აბსოლუტური უმრავლესობის რეგისტრაცია ხდება კაცის სახელზე,

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ეს ქონება ქალის და კაცის მიერ ერთობლივად იყოს შეძენილი. ქონების გაყოფისას ან მემკვიდრეობის მიღებისას ასევე კაცი არის პრივილეგირებულ მდგომარეობაში და, იშვიათი გამონაკლისების გარდა, კაცი ხდება ქონების უდიდესი ნაწილის (თუ მთლიანის არა) მესაკუთრე, ქალს კი თითქმის არაფერი ერგება.

ყოველივე ეს განპირობებულია საზოგადოებაში არსებული მცდარი შეხედულებით, რომ კაცი არის „ოჯახის უფროსი“ და ქონებაც მას უნდა ეკუთვნოდეს. ქონებასთან მიმართებაში საზოგადოება კაცს უპირატესად მიიჩნევს და თვლის, რომ გოგო გათხოვდება, „პატრონს ჩაბარდება“, აი ბიჭმა კი ცოლი უნდა მოიყვანოს და არჩინოს, შესაბამისად მას უფრო მეტი ფინანსები ესაჭიროება. ასეთი დისკრიმინაციული მიდგომები გადაეცემა თაობიდან თაობას, რის გამოც ქალის მიერ საკუთარი წილის მოთხოვნა აღიქმება არა როგორც საკუთარი უფლებების დაცვად, არამედ კაცის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად. *ქვემო ქართლში ერთმა ქალმა განაცხადა, რომ იცის მამის ქონებიდან მისი წილის შესახებ, თუმცა ვერ ბედავს ხმის ამოღებას, ვინაიდან მისი ოჯახი და საზოგადოება ჩათვლის, რომ ის საკუთარი ძმების წინააღმდეგ წავიდა.*

სამცხე-ჯავახეთში იყო შემთხვევა, როდესაც კაცმა პირდაპირ გამოხატა დისკრიმინაციული მიდგომა სხვადასხვა სქესის შვილების მიმართ და განაცხადა, რომ მას ჰყავს 3 შვილი და 1 გოგო და მან უნდა იზრუნოს, რომ მის „სამივე“ შვილს ჰქონდეს სახლი. მოცემულ შემთხვევაში პირს 4 შვილი ჰყავდა - 3 ბიჭი და 1 გოგო, თუმცა ის სრულფასოვან შვილებად მხოლოდ ბიჭებს მოიაზრებდა და გოგოს მიმართ არ ჰქონდა იგივე განცდა.

საზოგადოების არაჯეროვანი რეაქცია მსგავსი სახის დისკრიმინაციულ მოპყრობაზე ხელს უწყობს ამ ტრადიციის გავრცელებას, რაც კიდევ უფრო მეტად ამძიმებს ქალთა მდგომარეობას.

ეთნიკური უმცირესობები

შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა ის პრობლემები, რომლებსაც ზემოაღნიშნულის გარდა, დამატებით აწყდებიან სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები - სომეხი და აზერბაიჯანელი მოსახლეობა.

ეთნიკურ უმცირესობებში ძალზე მწვავედ დგას სახელმწიფო სტრუქტურებისადმი მიმართვისთვის საჭირო ინფორმაციის არქონისა და ხელმისაწვდომობის საკითხი, ასევე, უმნიშვნელოვანესი პრობლემაა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობის დაბალი ხარისხი. სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობამ გამოხატა დიდი უკმაყოფილება იუსტიციის სახლის მუშაობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც იუსტიციის სახლის მიერ არასწორად ხდება სომხურიდან ქართულ ენაზე სახელის და გვარის თარგმნა, ან სხვადასხვა თარიღების არასწორად მითითება, რის გამოც შემდგომში მოსახლეობას პრობლემები ექმნება სხვადასხვა სახის დოკუმენტაციების გაფორმების დროს. *სამცხე-ჯავახეთის ერთ-ერთი სოფლის მაცხოვრებელმა ქალმა განაცხადა, რომ მისი სახელის სომხურიდან ქართულად გადათარგმნის დროს იუსტიციის სახლმა დაუშვა შეცდომა, რის გამოც იგი ვერ ახერხებდა მემკვიდრეობის მიღებას. აღნიშნულმა მოქალაქემ შეცდომის გასასწორებლად მიმართა იუსტიციის სახლს, თუმცა იუსტიციის სახლმა უარი განაცხადა ხარვეზის აღმოფხვრაზე და პირი გადაამისამართა სასამართლოში. მან ვერ შეძლო სასამართლოსთვის მიმართვა, ვინაიდან სასამართლოში საქმის განხილვა დაკავშირებულია ხარჯებთან, ასევე, სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, რაც დამატებით ბარიერია არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამცხე-ჯავახეთისგან განსხვავებით, ქვემო ქართლის მოსახლეობას არ გამოუხატავს მსგავსი პრეტენზიები იუსტიციის სახლის მუშაობასთან მიმართებაში.*

რეგიონში პრობლემურია საქართველოს მოქალაქეობის მიღების საკითხი. კერძოდ, სომხეთის მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ

საქართველოში ბინადრობის მონაწილეობა, წლების განმავლობაში ცხოვრობენ საქართველოში და სურთ აიღონ საქართველოს მოქალაქეობა, უარს ეუბნებიან საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე სახელმწიფო უსაფრთხოების ან/და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთი შემთხვევები ხდება მასიურად. *ერთ-ერთმა ქალმა, რომელიც საპენსიო ასაკს იყო მიღწეული განაცხადა, რომ მას და მის დას (ასევე საპენსიო ასაკის) ცალ-ცალკე ჰქონდათ შეტანილი განცხადებები საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე. მის დას დაუკმაყოფილეს მოთხოვნა, თუმცა თავად ამ ქალს უარი უთხრეს საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე გემოაღნიშნული საფუძვლით.*

სამცხე-ჯავახეთის ერთ-ერთ სოფელში ვიზიტის დროს, რომელიც დასახლებულია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი სომხებით, ადგილობრივებმა აღნიშნეს, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების დროს, ადგილზე მოსული სასწრაფო პირველ რიგში ამონმებს აქვს თუ არა პაციენტს საქართველოს მოქალაქეობა. იმ შემთხვევაში, თუ პირი არ აღმოჩნდება საქართველოს მოქალაქე, ექიმები უარს აცხადებენ სამედიცინო სერვისების განწვევას. მსგავს პრობლემებზე მიუთითეს ქვემო ქართლის მაცხოვრებლებმაც. მათი თქმით ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომელთაც არ აქვთ საქართველოს მოქალაქეობა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება ფასიანია და ღირს 50 ლარი, მაშინ როდესაც საქართველოს მოქალაქეებისთვის აღნიშნული მომსახურება უფასოა. ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ მიერ აღნიშნული ფაქტი ოფიციალურად იქნა გადამოწმებული საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, საიდანაც გვაცნობეს, რომ საქართველოში მცხოვრები ბინადრობის უფლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურება იყო უფასო. ორგანიზაცია ეცადა მოეძია უშუალოდ ის ბენეფიციარები, რომლებსაც თანხას ახდევინებენ სამედიცინო მომსახურების განწვევაში ან საერთოდ უარს ეუბნებიან მასზე, თუმცა ყველა შემთხვევაში ადგილობრივები უარს აცხადებდნენ რაიმე სახის საჩივრის დაწერაზე, ხოლო მოტივად მიუთითებდნენ

უნდობლობას სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ. სამცხე-ჯავახეთის ერთ-ერთ სოფელში შეხვედრისას მონაწილეებმა ღიად დააფიქსირეს, რომ ასეთი შემთხვევა ერთი კვირის წინაც მოხდა, თუმცა მათ კატეგორიული უარი განაცხადეს დაესახელებინათ ეს პირი, ვინაიდან მათ მიაჩნიათ, რომ „ჩივილით“ მაინც არაფერი შეიცვლება, ხოლო „მომჩივანს“ დამატებითი პრობლემები შეექმნებოდა.

რეკომენდაციები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- ადრეული ქორწინების მავნე პრაქტიკის აღმოსაფხვრელად სპეციალურ ფოკუს ჯგუფებს მიენდოთ ზოგადი ინფორმაცია ადრეული ქორწინების უარყოფითი შედეგების შესახებ. ამ მხრივ მიზანშეწონილია ცნობიერების ამაღლების პერმანენტული კურსების ჩატარება სკოლის მასწავლებელთა და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული კურსები ჩატარდეს ადგილობრივი მოსახლეობისა და ეთნიკური უმცირესობებისათვის აღქმად და გასაგებ ენაზე;
- ადრეული ქორწინების ფაქტის შეტყობის შემთხვევაში მოხდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სოციალური მომსახურების სააგენტოს დროული ინფორმირება.
- მოხდეს მოსწავლეების მიერ სკოლის მითვების მიზეზების დადგენა და ადრეული ქორწინების გამო განათლების შეწყვეტის მუსტი სტატისტიკის წარმოება;
- ეთნიკური უმცირესობების მიერ ქართული ენის სწავლის ხელშწყობის მიზნით შემუშავდეს უფრო ეფექტური და ქმედითი მექანიზმები.

საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- გაძლიერდეს სოციალური მუშაკების როლი ადრეული ქორწინების და/ან ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეგირების კუთხით;
- ადრეული ქორწინების და/ან ოჯახში ძალადობის ფაქტის

შეტყობის შემთხვევაში მოხდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროული ინფორმირება.


საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- პოლიციელთა გადამზადების გზით მოხდეს მათი ცნობიერების ამაღლება და სენსიტიურობის გაზრდა ისეთი თემების მიმართ, როგორცაა ოჯახში ძალადობა და/ან ადრეული ქორწინება;
- ოჯახში ძალადობის და/ან ადრეული ქორწინების შემთხვევებზე რეაგირებისას განხორციელდეს პოლიციელთა მიერ საკუთარი ვალდებულებების ჯეროვნად და ეფექტურად შესრულების მონიტორინგი;
- ადრეული ქორწინების და/ან ოჯახში ძალადობის ფაქტის შეტყობის შემთხვევაში მოხდეს სოციალური მომსახურების სააგენტოს დროული ინფორმირება;
- ოჯახში ძალადობის ფაქტის შემდგომ მოხდეს მსხვერპლსა და მოძალადეს შორის არსებული ურთიერთობის მონიტორინგი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ძალადობის მორიგი ფაქტი.



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
*Promoting Rule of Law
in Georgia (PROLoG)*



WOMEN'S RIGHTS IN SAMTSKHE-JAVAKHETI AND KVEMO KARTLI

R E P O R T

ARTICLE 42 OF THE
CONSTITUTION





USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
*Promoting Rule of Law
in Georgia (PROLoG)*

REPORT

WOMEN'S RIGHTS IN SAMTSKHE-JAVAKHETI AND KVEMO KARTLI



ARTICLE 42 OF THE CONSTITUTION

2017



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
Promoting Rule of Law
in Georgia (PROLoG)

